

სს „კენჯორჯია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31
დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	14
5. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები.....	18
6. სხვა შემოსავალი.....	19
7. გამოყენებული მარაგის ხარჯები	19
8. როიალტის ხარჯი	19
9. სხვა ხარჯები.....	19
10. ფინანსური ხარჯი, წმინდა	20
11. ძირითადი საშუალებები	21
12. აქტივების გამოყენების უფლება	22
13. საინვესტიციო ქონება	23
14. არამატერიალური აქტივები.....	23
15. მარაგები.....	24
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	24
17. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	25
18. სააქციო კაპიტალი	25
19. სხვა რეზერვი	26
20. მიღებული სესხები	26
21. სხვა ვალდებულებები	27
22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
24. პირობითი ვალდებულებები და აქტივები.....	29
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	31
26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	32
მმართველობის ანგარიშგება.....	43

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სს „ვენჯორჯიას“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ვენჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის გრძელვადიანი აქტივების - ძირითადი საშუალებების, აქტივების გამოყენების უფლებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისათვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოთ აღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36 - „აქტივების გაუფასურების“ მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული გრძელვადიანი აქტივები წარმოდგენილია 17,932,319 ლარის ღირებულებით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 21,462,376 ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, აქტივების გამოყენების უფლებასთან, არამატერიალურ აქტივებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაამჟღავნა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 40-ით (პუნქტი 79), რაც წარმოადგენს ფასს-ების მოთხოვნებიდან გადახვევას.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხებიდან გამომდინარე.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე (მომზადების საფუძვლები - ფუნქციონირებადი საწარმო), რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 17,847,705 ლარი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და ამ თარიღისათვის კომპანიის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა მთლიან აქტივებს 68,771,045 ლარით გადააჭარბა. როგორც მე-2 შენიშვნაში აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2021 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სს „ვენჯორჯიას“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ვენჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის გრძელვადიანი აქტივების - ძირითადი საშუალებების, აქტივების გამოყენების უფლებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისათვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოთ აღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36 - „აქტივების გაუფასურების“ მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული გრძელვადიანი აქტივები წარმოდგენილია 17,932,319 ლარის ღირებულებით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 21,462,376 ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, აქტივების გამოყენების უფლებასთან, არამატერიალურ აქტივებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაამყდვანა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 40-ით (პუნქტი 79), რაც წარმოადგენს ფასს-ების მოთხოვნებიდან გადახვევას.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხებიდან გამომდინარე.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე (მოშაადების საფუძვლები - ფუნქციონირებადი საწარმო), რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 17,847,705 ლარი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და ამ თარიღისათვის კომპანიის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა მთლიან აქტივებს 68,771,045 ლარით გადააჭარბა. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მოშაადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოშაადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მოშაადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევცნავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამის ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2021 წელი

სს ვენჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019 *
შემოსავალი		22,368,435	25,441,996
სხვა შემოსავალი	6	1,790,139	1,187,726
გამოყენებული მარაგის ხარჯი	7	(10,679,400)	(13,381,945)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(4,882,490)	(5,111,203)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,131,506)	(2,494,393)
როიალტის ხარჯი	8	(946,319)	(1,081,226)
სხვა ხარჯები	9	(5,393,202)	(6,572,412)
საოპერაციო ზარალი		(874,343)	(2,011,457)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	10	(17,050,954)	(9,991,819)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა		77,592	64,114
ზარალი დაბეგვრამდე		(17,847,705)	(11,939,162)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(17,847,705)	(11,939,162)

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2021 წლის 30 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გ. მშვილდაძე

სს ვენჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019 *
შემოსავალი		22,368,435	25,441,996
სხვა შემოსავალი	6	1,790,139	1,187,726
გამოყენებული მარაგის ხარჯი	7	(10,679,400)	(13,381,945)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(4,882,490)	(5,111,203)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,131,506)	(2,494,393)
როიალტის ხარჯი	8	(946,319)	(1,081,226)
სხვა ხარჯები	9	(5,393,202)	(6,572,412)
საოპერაციო ზარალი		(874,343)	(2,011,457)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	10	(17,050,954)	(9,991,819)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა		77,592	64,114
ზარალი დაბეგვრამდე		(17,847,705)	(11,939,162)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(17,847,705)	(11,939,162)

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2021 წლის 30 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გ. მშვილდაძე

სს ვენჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019 *	01.01.2019 *
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	13,589,548	15,245,419	15,650,080
აქტივის გამოყენების უფლება	12	3,491,354	5,291,627	3,020,827
საინვესტიციო ქონება	13	4,409,454	4,444,867	4,480,280
არამატერიალური აქტივები	14	851,417	925,330	831,948
		22,341,773	25,907,243	23,983,135
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	15	1,640,606	1,547,565	1,100,238
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	1,029,063	1,915,662	1,823,884
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	121,053	216,821	92,648
		2,790,722	3,680,048	3,016,770
სულ აქტივები		25,132,495	29,587,291	26,999,905
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	18	3,069,683	3,069,683	3,069,683
დაგროვილი ზარალი		(76,192,330)	(58,344,625)	(46,405,463)
სხვა რეზერვი	19	7,908,242	7,310,376	7,310,376
		(65,214,405)	(47,964,566)	(36,025,404)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	20	15,375,120	11,130,997	9,604,023
საიჯარო ვალდებულებები	12	3,410,013	4,495,181	1,551,060
სხვა ვალდებულებები	21	-	1,746,237	1,081,820
		18,785,133	17,372,415	12,236,903
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	4,539,320	5,692,319	3,064,992
მიღებული სესხები	20	65,824,300	53,184,381	45,784,407
საიჯარო ვალდებულებები	12	1,198,147	1,302,742	1,939,007
		71,561,767	60,179,442	50,788,406
სულ ვალდებულებები		90,346,900	77,551,857	63,025,309
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		25,132,495	29,587,291	26,999,905

(*) – 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

სს ვენჯორჯია

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სხვა რეზერვი	სულ
31.12.2018	3,069,683	(46,405,463)	7,310,376	(36,025,404)
მთლიანი სრული ზარალი	-	(11,939,162)	-	(11,939,162)
31.12.2019*	3,069,683	(58,344,625)	7,310,376	(47,964,566)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	-	-	597,866	597,866
მთლიანი სრული ზარალი	-	(17,847,705)	-	(17,847,705)
31.12.2020	3,069,683	(76,192,330)	7,908,242	(65,214,405)

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	(17,847,705)	(11,939,162)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	3,131,506	2,494,393
ფინანსური ხარჯი, წმინდა	16,439,924	9,854,029
სესხის მისაღებად გაწეული ხარჯების ამორტიზაცია	611,030	137,790
საიჯარო ვალდებულებების პატიება	(635,485)	-
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	236,710	-
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	(77,592)	(64,114)
მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან, წმინდა	(188,421)	(194,506)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	1,669,967	288,430
მარაგების ზრდა	(93,041)	(447,325)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/ შემცირება	38,859	(227,441)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/ (შემცირება)	(588,336)	2,899,658
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,027,449	2,513,322
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(495,208)	(1,872,553)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	482,170	852,515
არამატერიალური აქტივების შეძენა	(25,115)	(185,325)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(38,153)	(1,205,363)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	295,350	550,679
სესხის ძირის გადახდა	(354,974)	(588,028)
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის გადახდა	(577,216)	(508,278)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის გადახდა	(400,381)	(401,216)
მიღებული სესხების პროცენტის გადახდა	(45,435)	(212,318)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,082,656)	(1,159,161)
ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება), წმინდა	(93,360)	148,798
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	216,821	92,648
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული შედეგი	(2,408)	(24,625)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	121,053	216,821

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ვენჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წლის იანვარში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიამ საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2015 წელს. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან მფლობელს წარმოადგენს „გლობალ ინვესტორს ლიმიტედ“ (რეგისტრირებულია მალტაში ნომრით - C38646). კომპანიის ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ სამსონ ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი) და ლევან ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი).

სს „ვენჯორჯია“ წარმოადგენს სწრაფი კვების რესტორნების ქსელს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ბურგერებს, სასმელს, დესერტს და სხვა. კომპანია ოპერირებს ვენდის გლობალ რესტორნისგან (Wendy's Global Restaurants) მიღებული ფრანშიზის უფლებით.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის 74ბ. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 404885335.

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებული მთლიანი სრული ზარალი შეადგენს 17,847,705 ლარს, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ფინანსური ხარჯის კომპონენტი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენს 76,192,330 ლარს, ხოლო კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები 68,771,045 ლარით აღემატება მოკლევადიან აქტივებს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარღვეულია საფინანსო ინსტიტუტთან - „Overseas Private Investment Corporation“ (OPIC) არსებული სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები (იხილეთ 24-ე შენიშვნა).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე, კომპანიის საქმიანობის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

მიუხედავად ზემოთაღწერილი მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობებისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მიზანშეწონილია კომპანიისთვის და იგი მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა შემდეგ ფაქტორებს:

- კომპანიის დამფუძნებლები გამოთქვამენ მზადყოფნას პირადად ან/და მათ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა საწარმოების საშუალებით, კომპანიას საჭიროების შემთხვევაში გაუწიონ დახმარება. დეტალური ინფორმაცია მოცემულია 25-ე შენიშვნაში.
- კომპანიამ მიიღო შეთანხმებას OPIC-თან სასესხო ვალდებულების რესტრუქტურისა და დაკავშირებით. დეტალური ინფორმაცია მოცემულია 25-ე შენიშვნაში.
- კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით. კომპანია სრული დატვირთვით განაგრძობს საოპერაციო საქმიანობას.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);

2020 წლის 1 იანვრის ძალაში შევიდა ცვლილებები ფასს 16-ში, რომელიც გამოიყენება საიჯარო ქირის იმგვარ დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა შემდეგი პირობა:

(ა) საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორც იყო უშუალოდ საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;

(ბ) საიჯარო გადახდების შემცირება ეხება მხოლოდ ისეთ გადახდებს, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 იანვრისა; და

(გ) იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

საიჯარო ქირის დათმობები, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს, შეიძლება აღრიცხულ იქნას გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, რაც ნიშნავს, რომ მოიჯარე არ შეაფასებს, იჯარის მოდიფიკაციას წარმოადგენს თუ არა საიჯარო ქირის დათმობა. დათმობების აღრიცხვისას მოიჯარეები იყენებენ ფასს 16-ის სხვა მოთხოვნებს.

კომპანიამ აირჩია გამოიყენოს გამარტივებული მიდგომა საიჯარო ქირის ყველა დათმობისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს. კომპანიამ გამარტივებული დათმობა გამოიყენა რეტროსპექტულად, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გამოყენებულია ყველა დათმობაზე, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს 2020 წლის მარტიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა რომ მომხდარიყო, როგორც საიჯარო მოდიფიკაციები, კომპანიას მოუწევდა საიჯარო ვალდებულებების თავიდან შეფასება, ანაზღაურებაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით, განახლებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, აქტივების გამოყენების უფლებაში შესაბამისი ეფექტის გათვალისწინებით. გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, კომპანია არ არის ვალდებული შეაფასოს საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და შედეგად საიჯარო ვალდებულების ცვლილების ეფექტი აისახება მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მოვლენა ან პირობები, რომელიც იწვევს საიჯარო ქირის დათმობას.

გამარტივებული მიდგომის ეფექტი დეტალურად წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებზე. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცემის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ელ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ა) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის/ამორტიზაციის განაკვეთის კორექტირება.

ბ) იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საწარმო აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორიცაა:

- (i) საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;
- (ii) ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;
- (iii) ნებისმიერი არჩევანის უფლებების პირობები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორიცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საჭიროებების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა.

გ) ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. კომპანიამ გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში;

დეტალები ზღვრული სასესხო განაკვეთის შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-12 შენიშვნაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა დებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	566,266	427,146
ფული და ფულის ეკვივალენტები	121,053	216,821
	687,319	643,967

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
მიღებული სესხები	81,199,420	64,315,378
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	1,746,237
საიჯარო ვალდებულებები	4,608,160	5,797,923
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,685,069	4,514,299
	89,492,649	76,373,837

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის. კომპანიას არ აქვს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები და ვალდებულებები.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტიური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, სესხების და სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
ფული და ფულის ეკვივალენტები

31.12.2020	31.12.2019
566,266	427,146
97,975	145,379
664,241	572,525

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2020
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	116,390	4,663	-	121,053
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	553,628	12,638	-	566,266
	670,018	17,301	-	687,319
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	4,818,689	76,380,731	-	81,199,420
საიჯარო ვალდებულებები	81,761	4,526,399	-	4,608,160
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,166,003	401,435	117,631	3,685,069
	8,066,453	81,308,565	117,631	89,492,649
ღია საბალანსო პოზიცია	(7,396,435)	(81,291,264)	(117,631)	
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2019
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	201,598	15,079	144	216,821
სავაჭრო მოთხოვნები	423,661	3,485	-	427,146
	625,259	18,564	144	643,967
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	5,310,973	59,004,405	-	64,315,378
საიჯარო ვალდებულებები	256,654	5,541,269	-	5,797,923
გრძელვადიანი ვალდებულებები	1,746,237	-	-	1,746,237
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,976,987	410,000	127,312	4,514,299
	11,290,851	64,955,674	127,312	76,373,837
ღია საბალანსო პოზიცია	(10,665,592)	(64,937,110)	(127,168)	

სავალუტო რისკის მგრძნობელობის ანალიზი

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2020	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	20%	-20%	20%	-20%
მოგება / (ზარალი)	(16,258,253)	16,258,253	(23,526)	23,526

31.12.2019	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	20%	-20%	20%	-20%
მოგება / (ზარალი)	(12,987,422)	12,987,422	(25,434)	25,434

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	70,730,479	2,201,239	32,609,127	105,540,845
საიჯარო ვალდებულებები	1,543,173	3,927,304	-	5,470,477
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	72,273,652	6,128,543	32,609,127	111,011,322
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,685,069	-	-	3,685,069
სულ ფინანსური ვალდებულებები	75,958,721	6,128,543	32,609,127	114,696,391

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	59,250,389	12,039,021	-	71,289,410
საიჯარო ვალდებულებები	1,939,007	5,117,187	-	7,056,194
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	61,189,396	17,156,208	-	78,345,604
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,514,299	-	-	4,514,299
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	1,746,237	1,746,237
სულ ფინანსური ვალდებულებები	65,703,695	17,156,208	1,746,237	84,606,140

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის:

- დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი, რათა შეძლოს მომავალში მეწილეებზე დივიდენდების გაცემა და;
- შესთავაზოს აქციონერებს ადეკვატური დივიდენდი სერვისების ღირებულების განსაზღვრით რისკის კანონზომიერი შეფარდებით.

კომპანია ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის გათვალისწინებით, მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას მასში შემავალი აქტივების რისკის მახასიათებლების და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით.

5. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

კომპანიის ხელმძღვანელობამ 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები და გააკეთა რეკლასიფიკაციები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის წლის შედეგს და ფინანსურ მდგომარეობას, კონკრეტულად:

- ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა 2019 წლის ფინანსური ხარჯისა და ვალდებულების დარიცხვა;
- გაკეთდა რეკლასიფიკაციები ძირითადი საშუალებებიდან საინვესტიციო ქონებაზე.

წინა პერიოდის შეცდომებისა და რეკლასიფიკაციების გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2019	კორექტირება	31.12.2019 გადაანგარიშებული
ძირითადი საშუალებები	16,803,227	(1,557,808)	15,245,419
საინვესტიციო ქონება	2,887,059	1,557,808	4,444,867
დაგროვილი ზარალი	(56,801,323)	(1,543,302)	(58,344,625)
მიღებული სესხები	51,641,079	1,543,302	53,184,381

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	01.01.2019	კორექტირება	01.01.2019 გადაანგარიშებული
ძირითადი საშუალებები	17,207,888	(1,557,808)	15,650,080
საინვესტიციო ქონება	2,922,472	1,557,808	4,480,280

წინა პერიოდის შეცდომების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2019	კორექტირება	2019 გადაანგარიშებული
ფინანსური ხარჯი, წმინდა	(8,448,517)	(1,543,302)	(9,991,819)

წინა პერიოდის შეცდომების გავლენა ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	2019	კორექტირება	2019 გადაანგარიშებული
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8,310,727	1,543,302	9,854,029

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

6. სხვა შემოსავალი

	2020	2019
საიჯარო ვალდებულების პატიება*	635,485	-
სახელმწიფოსგან მიღებული გრანტი**	337,356	-
საიჯარო შემოსავალი	235,124	386,175
მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან, წმინდა	188,421	194,506
შემოსავალი ექსკლუზივის მომსახურებიდან	152,339	152,339
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	83,311	243,496
მარაგების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	65,999	145,333
სხვა	92,104	65,877
	1,790,139	1,187,726

(*) - კომპანიამ 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში მიიღო გარკვეული ხასიათის შეღავათები მეიჯარეებისგან, რაც გამოწვეული იყო კოვიდ 19-ის პანდემიის შედეგად შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობით. აღნიშნული შეღავათი მოიცავდა 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში სახელშეკრულებო პირობების შესაბამისი გარკვეული საიჯარო გადახდების პატიებას. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 12.

(**) - სახელმწიფო გრანტი, რომელიც წარმოადგენს კოვიდ 19-ის პანდემიის დროს, სახელმწიფოს მიერ კომპანიისთვის საშემოსავლო გადასახადის პატიებას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 112-116-ე ნაწილების შესაბამისად.

7. გამოყენებული მარაგის ხარჯები

	2020	2019
საკვები და სასმელი	(8,949,718)	(11,408,287)
რესტორნებთან დაკავშირებული სახარჯი მასალები	(1,131,117)	(1,324,768)
სამრეცხაო და სანიტარული ხარჯები	(457,999)	(489,982)
სხვა	(140,566)	(158,908)
	(10,679,400)	(13,381,945)

8. როიალტის ხარჯი

2012 წელს გაფორმებული ლიცენზიის ხელშეკრულების მიხედვით „ვენდის გლობალ რესტორანს“ (Wendy's Global Restaurants, LLC) და შპს „ვენჯორჯიას“ შორის, კომპანია ხსნის რესტორნებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე. აღნიშნული უფლებით სარგებლობისთვის, კომპანიის როიალტის ხარჯი 2020 წელს შეადგენს 946,319 ლარს (2019 წელი: 1,081,226 ლარი).

9. სხვა ხარჯები

	2020	2019
მიწოდების ხარჯი	(1,597,443)	(847,638)
კომუნალური ხარჯი	(784,543)	(1,017,733)
მოკლევადიან და ცვალებად იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც არ აღრიცხულა ფასს 16 -ის მიხედვით	(590,099)	(1,136,291)
რემონტისა და შეკეთების ხარჯი	(530,684)	(769,838)
რეკლამის ხარჯი	(529,790)	(1,015,853)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(245,365)	(337,732)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(236,710)	-
დაცვის ხარჯი	(204,733)	(192,495)
სახარჯი მასალები	(125,347)	(434,421)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(98,280)	(259,418)
IT ხარჯი	(85,631)	(83,203)
სხვა ხარჯი	(364,577)	(477,790)
	(5,393,202)	(6,572,412)

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2020	2019
ფინანსური ხარჯი		
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(4,920,693)	(4,427,107)
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,261,716)	(811,865)
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(400,381)	(401,216)
	(6,582,790)	(5,640,188)
სხვა ფინანსური ხარჯი		
გრძელვადიანი ვალდებულების ამორტიზაცია	-	(195,177)
სესხის მისაღებად გაწეული ხარჯების ამორტიზაცია	(611,030)	(137,790)
	(7,193,820)	(5,973,155)
საპროცენტო შემოსავალი		
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	-	453
	-	453
 ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან, წმინდა	 (9,857,134)	 (4,019,117)
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	(17,050,954)	(9,991,819)

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	რესტორნის აღჭურვილობა	ტექნიკური აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	ჯამი
31.12.2018	5,095,598	5,243,206	5,235,090	4,542,100	1,822,513	1,887,554	278,232	134,693	24,238,986
შემოსვლა	-	-	-	1,108,499	407,019	66,188	172,168	170,045	1,923,919
გასვლა	(505,000)	-	-	(101,281)	(38,198)	(11,792)	(98,857)	(1,786)	(756,914)
რეკლასიფიკაცია დაუმთავრებელი მშენებლობიდან	-	-	351,543	-	-	-	(351,543)	-	-
რეკლასიფიკაცია აქტივის გამოყენების უფლებაში	-	-	-	(152,430)	-	-	-	-	(152,430)
31.12.2019	4,590,598	5,243,206	5,586,633	5,396,888	2,191,334	1,941,950	-	302,952	25,253,561
შემოსვლა	-	-	-	137,840	338,058	9,075	-	10,235	495,208
გასვლა	-	-	-	(301,461)	(81,891)	(29,131)	-	-	(412,483)
31.12.2020	4,590,598	5,243,206	5,586,633	5,233,267	2,447,501	1,921,894	-	313,187	25,336,286
დაგროვილი ცვეთა									
31.12.2018	-	(810,068)	(2,003,854)	(2,743,768)	(1,572,279)	(1,374,786)	-	(84,151)	(8,588,906)
ცვეთა	-	(258,819)	(417,574)	(294,576)	(223,856)	(212,816)	-	(76,360)	(1,484,001)
გასვლა	-	-	-	13,564	26,742	7,231	-	-	47,537
რეკლასიფიკაცია აქტივის გამოყენების უფლებაში	-	-	-	17,228	-	-	-	-	17,228
31.12.2019	-	(1,068,887)	(2,421,428)	(3,007,552)	(1,769,393)	(1,580,371)	-	(160,511)	(10,008,142)
ცვეთა	-	(258,819)	(426,999)	(540,376)	(410,527)	(152,227)	-	(68,382)	(1,857,330)
გასვლა	-	-	-	86,404	22,477	9,853	-	-	118,734
31.12.2020	-	(1,327,706)	(2,848,427)	(3,461,524)	(2,157,443)	(1,722,745)	-	(228,893)	(11,746,738)
საბალანსო ღირებულება									
31.12.2019	4,590,598	4,174,319	3,165,205	2,389,336	421,941	361,579	-	142,441	15,245,419
31.12.2020	4,590,598	3,915,500	2,738,206	1,771,743	290,058	199,149	-	84,294	13,589,548

კომპანიის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 20.

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. აქტივების გამოყენების უფლება

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ფართი ადმინისტრაციული ოფისისთვის, რესტორნებისა და საწყობებისთვის. საიჯარო გადასახდელები შედგება ფიქსირებული ნაწილისაგან წარმოდგენილია დოლარსა და ლარში. საიჯარო ხელშეკრულებების ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 8%-12%-ს. აქტივების გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქტივების გამოყენების უფლება

1 იანვარი

შემოსვლა

ცვეთა

შეფასების ცვლილება

გასვლა

31 დეკემბერი

	2020	2019
	5,291,627	3,020,827
შემოსვლა	56,320	3,153,836
ცვეთა	(1,139,735)	(883,036)
შეფასების ცვლილება	(620,194)	-
გასვლა	(96,664)	-
	3,491,354	5,291,627

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საიჯარო ვალდებულებები

1 იანვარი

საპროცენტო ხარჯი

შემოსვლა

კურსთა შორის სხვაობა

გადახდა

საიჯარო ვალდებულების პატიება*

შეფასების ცვლილება

გასვლა

31 დეკემბერი

	2020	2019
	5,797,923	3,043,353
საპროცენტო ხარჯი	400,381	401,216
შემოსვლა	56,320	3,037,872
კურსთა შორის სხვაობა	683,122	224,976
გადახდა	(977,597)	(909,494)
საიჯარო ვალდებულების პატიება*	(635,485)	-
შეფასების ცვლილება	(620,194)	-
გასვლა	(96,310)	-
	4,608,160	5,797,923

ხარისხობრივი ინფორმაცია საიჯარო ვალდებულებების შესახებ წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

(*) - კომპანიამ 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში მიიღო გარკვეული ხასიათის შეღავათები მეიჯარეებისგან, რაც გამოწვეული იყო კოვიდ 19-ის პანდემიის შედეგად შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობით. აღნიშნული შეღავათი მოიცავდა 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში სახელშეკრულებო პირობების შესაბამისი გარკვეული საიჯარო გადახდების პატიებას.

კომპანიამ, 2020 წლის პერიოდში მიღებული იმ საიჯარო გადახდების პატიებებისთვის, რომლებიც შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, გამოიყენა ფასს 16-ის მიხედვით პრაქტიკული ხასიათის შეღავათი.

პრაქტიკული ხასიათის შეღავათის გამოყენების შედეგად კომპანიის მთლიანი საიჯარო ვალდებულებები შემცირდა 635,485 ლარის ოდენობით. აღნიშნული შემცირების ეფექტი ასახულია იმ პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რომელსაც გადახდები მიეკუთვნებოდა. საიჯარო ვალდებულებების პატიება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნაჩვენებია სხვა შემოსავალში (შენიშვნა 6).

საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა გადახდები (შენიშვნა 9), რომლებიც არ აღიარდა საიჯარო ვალდებულებებად ფასს 16-ის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი	(536,613)	(896,300)
მოკლევადიანი იჯარები	(53,486)	(239,991)
	(590,099)	(1,136,291)

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

13. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	ჯამი
31.12.2018	4,068,946	490,332	4,559,278
31.12.2019	4,068,946	490,332	4,559,278
31.12.2020	4,068,946	490,332	4,559,278
დაგროვილი ცვეთა			
31.12.2018	-	(78,998)	(78,998)
ცვეთა	-	(35,413)	(35,413)
31.12.2019	-	(114,411)	(114,411)
ცვეთა	-	(35,413)	(35,413)
31.12.2020	-	(149,824)	(149,824)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2019	4,068,946	375,921	4,444,867
31.12.2020	4,068,946	340,508	4,409,454

კომპანიის საინვესტიციო ქონებით უზრუნველყოფილია ოპიკისგან ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 20.

მიღებული სესხები. დამატებითი

14. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ფრანშიზის უფლება	პროგრამული უზრუნველყოფა	რესტორნის დიზაინი	ჯამი
31.12.2018	767,698	414,208	274,875	1,456,781
შემოსვლა	172,694	12,631	-	185,325
გასვლა	-	(166,500)	-	(166,500)
31.12.2019	940,392	260,339	274,875	1,475,606
შემოსვლა	-	25,115	-	25,115
31.12.2020	940,392	285,454	274,875	1,500,721
ამორტიზაცია				
31.12.2018	(141,286)	(384,627)	(98,920)	(624,833)
ამორტიზაცია	(42,509)	(25,433)	(24,001)	(91,943)
გასვლა	-	166,500	-	166,500
31.12.2019	(183,795)	(243,560)	(122,921)	(550,276)
ამორტიზაცია	(52,348)	(22,974)	(23,706)	(99,028)
31.12.2020	(236,143)	(266,534)	(146,627)	(649,304)
საბალანსო ღირებულება				
31.12.2019	756,597	16,779	151,954	925,330
31.12.2020	704,249	18,920	128,248	851,417

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
ნედლეული	844,691	386,598
სარესტორნო მარაგი	557,484	859,901
საოფისე მარაგი	88,530	54,669
სამშენებლო მასალა	67,953	54,506
სათამაშოები	25,471	38,483
სხვა	56,477	153,408
	1,640,606	1,547,565

კომპანიის მარაგებით უზრუნველყოფილია ოპიკისგან მიღებული სესხები. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 20.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	802,976	427,146
გაუფასურების რეზერვი	(236,710)	-
არა-ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო ავანსები	294,266	540,500
სესხის მისაღებად წინასწარ გაწეული დანახარჯები*	132,424	743,454
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	36,107	111,308
ფრანშიზის უფლებებისთვის გადახდილი ავანსები	-	93,254
	1,029,063	1,915,662

(*) - „სესხის მისაღებად წინასწარ გაწეული დანახარჯები“ წარმოადგენს საკონსულტაციო და სხვა ხარჯებს, რომლებიც გაიწია ოპიკისგან სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

ფინანსური აქტივების ვალუტები მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

კომპანიას ჰყავს მრავალი მომხმარებელი, ამიტომ არ ხასიათდება კონცენტრირებული საკრედიტო რისკით.

ახალი მომხმარებლის მიღების წინ კომპანია აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს. კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

კომპანია აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგად, კომპანია ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. კომპანია იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შექმნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

კომპანიის მოთხოვნები წარმოადგენს მოკლევადიან მოთხოვნებს 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოთხოვნები არ ხასიათდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდით საწყისი აღიარების შემდგომ.

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით და გაუფასურების ანარიცხი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2020	ზარალების ალბათობა	გაუფასურების ანარიცხი
ვადადაუმდგარი	271,279	2%	(4,680)
0-დან 30 დღემდე	46,513	9%	(4,012)
31-დან 90 დღემდე	172,118	17%	(29,690)
91-დან 180 დღემდე	229,931	52%	(118,988)
181-დან 360 დღემდე	27,602	86%	(23,807)
361 დღეზე მეტი	55,533	100%	(55,533)
	802,976		(236,710)

კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი თანდაყოლილი საკრედიტო რისკი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ამავე საანგარიშგებო პერიოდისთვის არაარსებობის გამო არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2019
ვადადაუმდგარი	252,841
0-დან 30 დღემდე	64,850
31-დან 90 დღემდე	65,170
91-დან 180 დღემდე	1,483
181-დან 360 დღემდე	3,522
361 დღეზე მეტი	39,280
	427,146

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ფული გზაში*	65,076	64,908
ფული ბანკში ლარში და სხვა ვალუტებში	32,899	80,471
ფული სალაროში ლარში	23,078	71,442
	121,053	216,821

(*) - „ფული გზაში“- წარმოადგენს ფულს, რომელიც 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩარიცხულია კომპანიის საბანკო ანგარიშზე, თუმცა მისი ასახვა მოხდება შემდეგ დღეებში.

კომპანიის საბანკო ანგარიშებით უზრუნველყოფილია ოპიკისგან მიღებული სესხები. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 20.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

18. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება 2,751,300 ცალი 1 აშშ დოლარის ღირებულების აქციისგან, საიდანაც მხოლოდ 1,690,260 აქციის ღირებულება არის გადახდილი იგივე თარიღების მდგომარეობით.

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

19. სხვა რეზერვი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა რეზერვი წარმოქმნილია სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასა და შპს ველაჯიოს მიმართ არსებული გრძელვადიანი ვალდებულებების დისკონტირების ეფექტით ჯამური ღირებულებით 5,439,163 ლარი. ასევე, სხვა რეზერვი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს „შპს ერთობა 2018-ის“ მიმართ არსებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების დისკონტირების კორექტირებას 1,871,213 ლარი. აღნიშნული სასესხო ვალდებულებები დადისკონტირებულია 12% და 7.9% საპროცენტო განაკვეთით.

2020 წლის 1 იანვარს შპს ველაჯიოსა და სს ვენჯორჯიას შორის გაფორმებული შეთანხმების შედეგად შპს ველაჯიოს მიმართ არსებული გრძელვადიანი ვალდებულება სრულად გარდაიქმნა გრძელვადიან სესხად. სესხის ძირისა და მასზე დარიცხული საპროცენტო ვალდებულების გადახდის ვადა შეთანხმების მიხედვით განისაზღვრა, როგორც 2040 წლის 1 იანვარი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა როგორც - 8%. გრძელვადიანი სესხი ნომინალური ღირებულებით 5,710,327 ლარი დადისკონტირდა 7.45% განაკვეთით, აღნიშნული ტრანზაქციების ჯამურმა ეფექტმა, 1,782,782 ლარით შემცირა სხვა რეზერვი.

2020 წელს მოხდა დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული 11,024,014 ლარის ნომინალური ღირებულების სასესხო ვალდებულებების მოდიფიკაცია. 2020 წლის 23 დეკემბრის შეთანხმების მიხედვით - „შპს ერთობა 2018-ისგან“ მიღებული სესხის ახალი ვადა განისაზღვრა 2026 წლის 1 იანვრით. ახალი შეთანხმების მიხედვით აღნიშნული ვალდებულება დადისკონტირდა 12.7% და 7.36% საპროცენტო განაკვეთით. მოდიფიკაციის ეფექტი 2,256,766 ლარის ღირებულებით ასახულია სხვა რეზერვში.

ასევე, 2020 წელს კომპანიამ მიიღო გრძელვადიანი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან, ჯამური ნომინალური ღირებულებით 877,664 ლარი. მიღებული სესხების საწყისი აღიარების ეფექტი 123,882 ლარის ოდენობით, 12,86% განაკვეთით დისკონტირების შედეგად, ასახა სხვა რეზერვში.

20. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	გრძელვადიანი	
		31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ინსტიტუტები	8.2%	1,200,694	1,534,989
დაკავშირებული მხარე*	8%-16%	14,174,426	9,596,008
		15,375,120	11,130,997

	საპროცენტო განაკვეთი	მოკლევადიანი	
		31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ინსტიტუტები	8.2%	65,824,300	53,184,381
		65,824,300	53,184,381

(*) - კომპანიას 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს მიღებული სესხები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიებისგან. დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

კომპანიას მიღებული აქვს სესხები ოპიკისგან, რომლებიც უზრუნველყოფილია სს „ვენჯორჯიას“ კუთვნილი მიწებით და შპს „ალმას“ კუთვნილი მიწებით და შენობა-ნაგებობებით, სს „ვენჯორჯიის“ კუთვნილი ყველა უძრავი და მოძრავი აქტივით. ასევე, ყველა უძრავი და მოძრავი აქტივი, რასაც კომპანია შეიძენს მომავალში, იქნება დაგირავებული ოპიკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად, ისევე როგორც ყველა საბანკო ანგარიში და საიჯარო ხელშეკრულებები. ფინანსური გარანტიის კონტრაქტით, რომელიც უკავშირდება შპს „ალმას“ კუთვნილი მიწებით უზრუნველყოფას, არ მომხდარა ნაშთების კორექტირება, არაარსებითობიდან გამომდინარე.

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

20. მიღებული სესხები (გაგრძელება)

კომპანიამ ოპიკისგან მიღებულ სესხთან დაკავშირებით უნდა დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს კოვენანტების მნიშვნელოვან ნაწილს რის გამოც სესხი წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თიბისი ლიზინგისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით ჯამური საბალანსო ღირებულებით 411,223 ლარი (2019: 660,698 ლარი)

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	64,315,378	55,388,430
ფულადი ნაკადები:	(105,059)	(249,667)
არაფულადი ნაკადები:		
ვალდებულების სესხად გარდაქმნა	2,325,362	-
პროცენტის დარიცხვა და ამორტიზაცია	6,182,409	5,238,972
წმინდა ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან	9,174,012	3,794,141
დამფუძნებლისგან მიღებული სესხის რეალური ღირებულებით ასახვის ეფექტი	(597,866)	-
ლიზინგი	(94,816)	143,502
31 დეკემბერი	81,199,420	64,315,378

21. სხვა ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი ვალდებულებები მოიცავს შპს „ველაჯიოსთან“ არსებულ ვალდებულებებს 1,746,237 ლარის ღირებულებით აღნიშნული ვალდებულების ნომინალური ღირებულება შეადგენს 5,710,327 ლარს, რომელიც დადისკონტირებულია 13.7% განაკვეთით. ვალდებულებების დაფარვის ვადა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრული იყო, როგორც 2029 წლის 15 თებერვალი.

2020 წლის პერიოდში შპს ველაჯიოსა და სს ვენჯორჯიას შორის დადებული შეთანხმების შედეგად მოხდა აღნიშნული ვალდებულების სრულად გრძელვადიან სესხად გარდაქმნა. დეტალები იხილეთ მე-20 შენიშვნაში.

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,433,927	3,467,100
საიჯარო ვალდებულებები*	1,226,199	927,561
გრძელვადიანი აქტივების შემენიდან წარმოქმნილი სხვა ვალდებულებები	24,943	119,638
არა-ფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები**	842,581	731,662
სახელშეკრულებო ვალდებულებები	11,670	446,358
	4,539,320	5,692,319

(*) - საიჯარო ვალდებულებები დაკავშირებულია ცვლად და მოკლევადიან საიჯარო გადასახდელებთან, რომლებიც არ აღირიცხება ფასს 16-ის მიხედვით.

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

(**) - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს გაერთიანებულ სახაზინო კოდზე. შედეგად, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო ვალდებულებისა და საგადასახადო აქტივის ურთიერთგადაფარვით მიღებულ საგადასახადო ვალდებულებას 842,581 და 731,662 ლარის ღირებულებებით, შესაბამისად. ხარისხობრივი ინფორმაცია ფინანსურ ვალდებულებებზე მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან საქონელს. არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლის აღიარებასა და ანაზღაურების გადახდას შორის არის დროითი სხვაობა.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმო ხელშეკრულებას წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან).

სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15.121-ით გათვალისწინებული პრაქტიკული მიზანშეწონილობა და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

კომპანიას 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების“ მუხლში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირი	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა*	480,667	182,903
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა*	1,552,637	1,336,925
მიღებული სესხები	სხვა*	14,174,426	9,596,008
საიჯარო ვალდებულებები	სხვა*	473,511	718,076
გრძელვადიანი ვალდებულებები	სხვა*	-	1,746,237

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირი	2020	2019
სხვა შემოსავალი	სხვა*	513,418	824,655
სხვა ხარჯები	სხვა*	(992,035)	(1,402,717)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	სხვა*	(1,320,066)	(1,065,055)

2020 წელს კომპანიამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიებისგან შეიძინა 379,414 ლარის ღირებულების მარაგი (2019: 356,622 ლარი).

ასევე, 2020 წელს კომპანიამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიებისგან შეიძინა 66,000 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. (2019: 0 ლარი).

(*) - წარმოდგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიას.

24. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

იურიდიული საკითხები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვისაც გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

24. პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

კომპანიას აქვს ქვეიჯარით გაცემული ფართები დაკავშირებულ მხარესთან. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, იჯარები წარმოადგენს საოპერაციო იჯარას. ქვემოთ წარმოდგენილია ქვეიჯარის ხელშეკრულებებით მომავალში მისაღები საიჯარო შემოსავლები:

	31.12.2020	31.12.2019
1 წლამდე	255,575	235,603
1-დან 5 წლამდე	291,781	247,072
5 წელზე მეტი	-	-

სესხებთან დაკავშირებული კოვენანტები

ოპიკისგან მიღებულ სესხთან დაკავშირებით 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მოეთხოვება, რომ დააკმაყოფილოს კოვენანტების სახით განსაზღვრული შემდეგი მოთხოვნები:

ფინანსური კოვენანტები

- კომპანიამ მთლიანი ვალდებულებების თანაფარდობა საკუთარ კაპიტალთან (გარდა რეზერვებისა) შემცირებული არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებით უნდა შეინარჩუნოს 1.5-ზე ნაკლებ ნიშნულზე;

მთლიან ვალდებულებებში მოიაზრება ყველა ტიპის ვალდებულება, მათ შორის მიღებული სესხები, საქონლისა და მომსახურების შეძენიდან წარმოქმნილი გადავადებული გადასახადები, საიჯარო გადასახადები გარდა ისეთი იჯარებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს.

- კომპანიამ ლიკვიდობის კოეფიციენტი უნდა შეინარჩუნოს არანაკლებ 1.2 ნიშნულზე;

ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება მიმდინარე აქტივების თანაფარდობით მიმდინარე ვალდებულებებთან

- კომპანიამ ფულადი ნაკადების დავალიანებებთან შეფარდება უნდა შეინარჩუნოს არანაკლებ 1.5 ნიშნულზე;

ფულადი ნაკადები მოიცავს: წმინდა მოგება + (საპროცენტო ხარჯები, ცვეთა, გადავადებული მოგების გადასახადი, სხვა არაფულადი ხარჯები) – (წმინდა მატება (+) / წმინდა კლება (-) საოპერაციო კაპიტალში) - ნებისმიერი კაპიტალური დანახარჯი.

წმინდა მოგება ითვლება როგორც - პერიოდის წმინდა მოგება, რომელშიც არ შედის: 1. რეზერვის შემცირებით გამოწვეული მოგება; 2. მოგება, რომელიც მიიღება გრძელვადიანი აქტივების რეალიზაცია/გადაცვლიდან; 3. აქტივების ჩამოწერით მიღებული მოგება+სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგად მიღებული წმინდა მოგება, შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება.

დავალიანებები მოიცავს მიღებული სესხების ძირისა და პროცენტების, ასევე სესხებთან დაკავშირებით არსებული გადასახდელების ჯამს.

- წლიურმა საიჯარო გადასახდელებმა არ უნდა გადააჭარბოს 1,300,000 აშშ დოლარს;
- საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისთვის გადასახდელმა ვალდებულებებმა არ უნდა გადააჭარბოს 500,000 აშშ დოლარს;
- არაუზრუნველყოფილმა მოკლევადიანმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა გადააჭარბოს 250,000 აშშ დოლარს;

მიღებული სესხის ხელშეკრულების თანახმად კოვენანტების მოთხოვნების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური გარემოებები, მათ შორის „ხელშეკრულების პირობების დარღვევა“, რომელიც თავის მხრივ შესაძლოა გახდეს: ხელშეკრულების შეწყვეტის, გაცემული სესხის ნებისმიერი ნაწილის ან მთლიანი სესხის ძირისა და მასზე დარიცხული პროცენტის და სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი სხვა გადასახდელების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნის მიზეზი.

24. პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

სხვა კოვენანტები

მსესხებელმა არ უნდა დააგირაოს, დაუშვას ან სხვაგვარად, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნება დართოს ამჟამად ან მომავალში ფლობილ აქტივებზე ან მათგან მიღებულ შემოსავლებზე გირაოს არსებობა, გარდა შემდეგი გირაოებისა (ერთობლივად, „ნებადართული გირაოები“):

ა) უსაფრთხოების დოკუმენტების ან სხვა ფინანსური დოკუმენტების შესაბამისად შექმნილი გირაოები;

ბ) გადასახადის, მექანიკოსის, მომუშავის ან სხვა გირაო რომელიც გამომდინარეობს სტანდარტული ოპერაციების განხორციელების შედეგად სავალდებულო დაბალი უზრუნველყოფის ობლიგაციების კეთილსინდისიერად მოწოდებიდან და ჯერ არ არის გადაგასული ან დავის/ჩივილის საფუძველი.

მსესხებელმა არ უნდა:

ა) მოახდინოს ძირითადი საშუალებების რეალიზაცია, იჯარით გაცემა, გასხვისება, მათზე უფლებამოსილების გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძირითადი საშუალებების არსებითი ნაწილის ჩანაცვლება ხდება იგივე ან უფრო მაღალი ღირებულების მქონე გრძელვადიანი აქტივებით;

ბ) მოახდინოს ლიკვიდაცია ან სხვაგვარად შეწყვიტოს საქმიანობა, ან

გ) შეერწყას ან მოახდინოს კონსოლიდაცია სხვა პირთან.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანია ვერ აკმაყოფილებს კოვენანტების მნიშვნელოვან მოთხოვნებს, შესაბამისად, რადგან ოპიკს ნებისმიერ დროს შეუძლია გაცემული სესხის უკან მოთხოვნა, ოპიკისგან მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი.

თავდებობით წარმოქმნილი პირობითი ვალდებულებები

2020 წლის შპს გ-ჯეო რესტორნებსა და სს ბაზის ბანკს შორის გაფორმებული „კრედიტებითა და გარანტიებით მომსახურების შესახებ“ გენერალური ხელშეკრულებით, აგრეთვე, ნებისმიერი საკრედიტო, საკრედიტო ხაზის, საბანკო გარანტიის ან/და ნებისმიერი საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებების შპს გ-ჯეო რესტორნების მიერ სს ბაზის ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, სს ბაზის ბანკის სასარგებლოდ სს ვენჯორჯიამ იკისრა სოლიდარული ვალდებულება (თავდებობა) და სს ბაზის ბანკთან გაფორმდა შესაბამისი თავდებობის ხელშეკრულება. თავდებობის ხელშეკრულების მიხედვითაც თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრა 10,000,000 აშშ დოლარით. აღნიშნული ფინანსური გარანტიის კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანიას არ გაუკეთებია ნაშთების კორექტირება, არაარსებითობიდან გამომდინარე.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დამფუძნებლის წერილი ფინანსირების შესახებ

2021 წლის 2 სექტემბრით დათარიღებული დამფუძნებლის წერილის მიხედვით ფინანსირების შესახებ, კომპანიის აქციონერები მზად არიან კომპანიისთვის ხელმისაწვდომი გახადონ დამატებითი ფინანსური რესურსები, საჭიროების შემთხვევაში. ფინანსური რესურსები შესაძლებელია წარმოადგენდეს შემდეგს: შენატანი კაპიტალში, ფინანსირება სუბორდინირებული სესხების მეშვეობით და ასე შემდეგ.

მოლაპარაკებები სასესხო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებით

2021 წლის 25 ივნისს OPIC-სა (Overseas Private Investment Corporation) და კომპანიას შორის გაფორმდა სასესხო ვალდებულების რესტრუქტურისაზე შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით, OPIC-თან ჯამური სასესხო ვალდებულება შემცირდებოდა 3,500,000 აშშ დოლარამდე, თუ ამ თანხას ვენჯორჯია შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში დაფარავდა. ვენჯორჯიამ 3,500,000 აშშ დოლარი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში დაფარა და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის აღარ აქვს ოპიკის მიმართ ვალდებულება.

სასესხო ვალდებულებების აღება

2021 წელს კომპანიამ მიიღო 550,000 აშშ დოლარი სასესხო ვალდებულება სამსონ და ლევან ფხაკაძეებისგან, 10 წლის ვადით, წლიური 7%-ით. ასევე, კომპანიამ 2021 წელს მიიღო 3,000,000 აშშ დოლარი სასესხო ვალდებულება სს საქართველოს ბანკისგან, 7,5 წლის ვადით, წლიური საპროცენტო განაკვეთით: 5,5%+LIBOR (მაგრამ არანაკლებ 8%-ისა).

რესტორნის დახურვა

კომპანიის გადაწყვეტილებით, 2021 წლის მარტში ერთ-ერთი რესტორანი (ცინცადის #37) დაიხურა.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური აქტივები**

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიზები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL)

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს.

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კალკულაციისთვის იყენებს ყველა მიზანშეწონილ და დასაბუთებად ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება. ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ბურგერების, სასმლის და მზა საკვების რეალიზაცია. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ბურგერების, სასმლის, დესერტის მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ.

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქტის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ძირითადი საშუალება	
შენობები	20
ტექნიკური აღჭურვილობა	5
ავტო	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
რესტორნის აღჭურვილობა	4-5
სხვა	2-5
არამატერიალური აქტივი	
პროგრამული უზრუნველყოფა	10
ფრანშიზის უფლება	20
რესტორნის დიზაინი	20

ძირითადი საშუალებების სარემონტო დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალური დანახარჯების კრიტერიუმებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. რისი შედეგის ასახვაც ხდება პერსპექტიულად. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და საბალანსო ღირებულებასთან შედარება. გაუფასურების დანახარჯის აღიარება ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. კომპანია საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, შემდეგ კი ისტორიული ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება წრფივად. კომპანიის საინვესტიციო ქონებას (შენობა) აქვს 15 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „ფიფო“ - პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში) ღირებულებით.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სხვა რეზერვები

კომპანიის სხვა რეზერვები წარმოქმნილია დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული გრძელვადიანი ვალდებულებებისა და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დისკონტირების ეფექტით. აღნიშნული ოპერაციები მიჩნეულია, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები.

სახელმწიფო გრანტების აღიარება

სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

სახელმწიფო გრანტები არ აღიარდება მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ კომპანია შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს და გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით აღიარდება მაშინ, როცა არსებობს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ:

- ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და
- ბ) გრანტი იქნება მიღებული.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, რომელიც მიღებულია გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, აღიარებულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას. ასეთი გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავალი“. ალტერნატიულად, ისინი ანგარიშგებაში გამოიქვითება შესაბამისი ხარჯებიდან.

სხვა შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის უკან დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის დროს გაწეული ხარჯები აღიარდება შესაბამისი სარგებლის აღიარების პროპორციულად.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვისაც გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2016 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში კომპანია ყველა გადასახადს იხდის ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების წარდგენილია ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლებისთვის გაცემული სხვა არა-ფულადი სარგებელი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება თანამშრომელთა მიერ კომპანიისთვის მომსახურების გაწევა.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური

ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანიიდან მოხდება ეკონომიკური სარგებლის გასვლა მიმდინარე მოვალეობასთან დაკავშირებით, რომელიც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიშვა, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი. თუმცა, თუ ეკონომიკური სარგებლის გასვლა დამოკიდებულია მომავალში მოსახდენ მოვლენაზე ან არ არის შესაძლებელი მისი საიმედოდ შეფასება, ფინანსურ ანგარიშგებაში კეთდება განმარტებითი შენიშვნა პირობითი ვალდებულების სახით.

მიღებული იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ამორტიზაცია უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ამორტიზაცია ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში.

საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალი აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტრირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვანად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაცემული იჯარა

გაცემული საიჯარო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის ფასს 16-ის მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მოთხოვნებისგან. მეიჯარემ თითოეულ იჯარას ან საოპერაციო იჯარის კლასიფიკაცია უნდა მიანიჭოს, ან ფინანსური იჯარის. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა ფინანსურია თუ საოპერაციო დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე.

შემდეგი ფაქტორები ცალ-ცალკე ან კომბინირებულად განაპირობებს იჯარის კლასიფიცირებას ფინანსურ იჯარად:

ა) ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს გადაეცემა საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას;

ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, საიჯარო აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმდენად დაბალი იქნება საიჯარო აქტივის რეალურ ღირებულებაზე ამ უფლების გამოყენების მომენტში, რომ იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საკმარისად სარწმუნოა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;

გ) იჯარის ვადა მოიცავს საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, თუნდაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდებოდეს;

დ) იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება, სულ მცირე, საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიანი რეალური ღირებულების ტოლია; და

ე) საიჯარო აქტივი იმდენად სპეციფიკური ხასიათისაა, რომ მხოლოდ მოიჯარეს შეუძლია მისი გამოყენება არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მეიჯარემ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა აღიაროს ფინანსური იჯარით გადაცემული აქტივები და წარმოადგინოს, როგორც მოთხოვნები, ნეტო საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით.

ფინანსური იჯარა

მეიჯარემ ნეტო საიჯარო ინვესტიციის შესაფასებლად უნდა გამოიყენოს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. ქვეიჯარის შემთხვევაში, თუ ქვეიჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, შუალედურ მეიჯარეს უფლება აქვს, ძირითადი იჯარის მიმართ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი ქვეიჯარის ნეტო საიჯარო ინვესტიციის შესაფასებლად გამოიყენოს (რომელიც კორექტირებული იქნება ქვეიჯარასთან დაკავშირებული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებით).

საოპერაციო იჯარა

მეიჯარემ საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო გადახდები უნდა აღიაროს, როგორც შემოსავალი წრფივი მეთოდით, ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძველით. მეიჯარემ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს სხვა სისტემატური საფუძველი, თუ იგი უფრო ადეკვატურად ასახავს საიჯარო აქტივის გამოყენებით მიღებული სარგებლის შემცირების მოდელს/სქემას.

ქვეიჯარა

ქვეიჯარის კლასიფიცირებისას შუალედურმა მეიჯარემ ქვეიჯარას ფინანსური ან საოპერაციო იჯარის კლასიფიკაცია უნდა მიანიჭოს შემდეგი წესების დაცვით:

ა) თუ ძირითადი იჯარა მოკლევადიანი იჯარაა, რასაც საწარმო, როგორც მოიჯარე აღრიცხავდა იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდების აღიარებით ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძველით, იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო.

ბ) სხვა შემთხვევაში, ქვეიჯარის კლასიფიცირება საიჯარო აქტივის გათვალისწინებით კი არ უნდა მოხდეს (მაგალითად, ძირითადი საშუალების, რომელიც იჯარის საგანია), არამედ ძირითადი იჯარის შედეგად წარმოქმნილი, აქტივის გამოყენების უფლების გათვალისწინებით.

სს ვენჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

სს ვენჯორჯია

2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

სარჩევი

1.	საქმიანობის მიმოხილვა	44
2.	განვითარების გეგმები.....	44
3.	საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	44
4.	ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.....	45
5.	კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	45
6.	ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	45
7.	საკუთარი აქციების გამოსყიდვა	45
8.	დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	45
9.	ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა	45

1. საქმიანობის მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება „ვენჯორჯია“ (შემდგომში ვენდი) თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას (რეგ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 04/11/2011 წელს).

სს „ვენჯორჯია“-ს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,751,300 (ორი მილიონ შვიდასორმოცდათერთმეტი ათას სამასი) აშშ დოლარს. საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია 2,751,300 ცალ ჩვეულებრივ აქციად. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 (ერთი) აშშ დოლარს.

საზოგადოების აქციონერი მმართველობის ანგარიშგების გამოშვების მომენტისთვის წარმოადგენს - გლობალ ინვესტორს ლიმიტედ (მალტა) - 100%.

საზოგადოების მმართველობითი ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისგან:

- სამსონ ფხაკაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
- ლევან ფხაკაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ალექსი სირბილაშვილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

სს „ვენჯორჯიას“ ძირითად საოპერაციო საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების წარმოება და მათი საცალო რეალიზაცია.

კომპანია, სარესტორნო ქსელის საშუალებით, მომხმარებელს სთავაზობს ბურგერებს, სასმელს, გაყინულ დესერტს და სხვა სწრაფი კვების პროდუქტებს.

2. განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმების მიხედვით 2020 წელს რესტორნის გახსნა დაგეგმილი არ იყო. ამასთანავე, კოვიდ19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო 2021 წელს ნაწილი რესტორნებისა დაიხურა, ხოლო ნაწილი მომხმარებელს ემსახურებოდა დრავის, დელივერის ან გატანის მომსახურების მეშვეობით.

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ვენჯორჯიას საოპერაციო მოგება ცვეთის ხარჯის გათვალისწინების გარეშე 2020 წელს შეადგენდა 2,257 ათას ლარს (10% რეალიზაციიდან), ხოლო 2019 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 483 ათას ლარს (1.9% რეალიზაციიდან).

ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio - მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებთან) შეადგენს 0.4-ს (2019: 0.6), რაც ძირითადად გამოწვეულია მიმდინარე ვალდებულებების ზრდით, რომელიც თავის მხრივ გრძელვადიანი სესხის რეკლასიფიკაციით არის გამოწვეული.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს ვენჯორჯია ფლობს შემდეგ მოქმედ ობიექტებს:

1. WG დოლიძე - ქ. თბილისი, დოლიძის და ბალანჩივაძის ქუჩების შუა მდებარე სკვერი;
2. WG თბილისი მოლი - ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-16 კმ;
3. WG ისთ ფონტი - ქ. თბილისი, თვალჭრელიძის 2;
4. WG გორი - ქ. გორი. ტინისხიდის მ/ტ ;
5. WG ბათუმი - ქ. ბათუმი, აბუსერიძის 22;
6. WG ვაკე - ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ 37;
7. WG მე-13 - ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ;
8. WG ქუთაისი - ქ. ქუთაისი. რუსთაველის 5;
9. WG გაღერია - ქ. თბილისი;
10. WG არგვეთა 1 - ზესტაფონის რაიონი სოფელი არგვეთა;
11. WG არგვეთა 2 - ზესტაფონის რაიონი სოფელი სიქთარვა;

2020 წლის ბოლოსთვის ვენჯორჯია ახორციელებდა თერთმეტი ერთეული საცალო კვების ობიექტის ოპერირებას. აქედან, ცხრა რესტორანი არის იჯარით აღებული მესამე ან დაკავშირებული მხარისგან, ხოლო WG დოლიძე და WG მე-13 წარმოადგენენ კომპანიის საკუთრებას.

4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

2020 წელს დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა ვენჯორჯიაში შეადგენდა 579 თანამშრომელს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 550 თანამშრომელს.

5. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას 2020 და 2019 წლების განმავლობაში არ ჩატარებია ღონისძიებები კვლევისა და განვითარების სფეროში.

6. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ვენჯორჯიას არ აქვს ფილიალები.

7. საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიას 2020 და 2019 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს მას.

8. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

9. ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე რაც ვენჯორჯიას გააჩნია კლიენტებისადმი. დი ენდ ბი საქართველოს მომხმარებლებს, ნორმალური საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოადგენენ ძირითადად საცალო მომხმარებლები და გარკვეულწილად კორპორატიული მომხმარებლები.

• საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი გამომდინარეობს კვების ინდუსტრიის კაფე-რესტორნების კონკურენტული გარემოდან, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. კაფე-რესტორნების ბიზნესი გამოირჩევა მაღალი კონკურენციით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული კვების ობიექტები. კონკურენცია მიმდინარეობს საფასო, მომსახურების ხარისხის და პროდუქციის ხარისხის სეგმენტში ბრენდულ ობიექტებთან მიმართებაში, ხოლო მომსახურების ხარისხით (ობიექტის ვიზუალი, ოპერატორის ურთიერთობა მომხმარებელთან, მაღალი ცნობადობა) სეგმენტში არაბრენდულ რესტორნებთან მიმართებაში. შედეგად, კომპანია გენერალური დირექტორის, მარკეტინგის დირექტორის, ფინანსური დირექტორის და ოპერაციების დირექტორის შემადგენლობით, მუდმივად განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, ახალ პროდუქტებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლისთვის მისაღები და სასურველი იყოს ვენდისის პროდუქტების შეძენა.

• ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა

საბრუნავ კაპიტალში, მიმდინარე აქტივების სიდიდე ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ნაწილი მიმდინარე ვალდებულებებისა წარმოადგენს გრძელვადიანი სესხის რეკლასიფიკაციას მოკლევადიან სესხად რომელიც აღებულია აშშ-ს საკრედიტო ინსტიტუტიდან (OPIC -- Overseas Private Investment Corporation).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლარის დოლართან გაუფასურებამ გამოიწვია როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების ზრდა, რადგან სესხი დენომინირებულია აშშ დოლარში. მიუხედავად ამისა, ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო ნაწილიდან (საპროცენტო ხარჯების გათვალისწინებით) 2020 წელს არის დადებითი და შეადგენდა 1,027 ათას ლარს. დამატებით, კომპანიამ დაიწყო თავისი ფულადი სახსრების უფრო აქტიური მართვა, პროგნოზირება და დაგეგმვა, რაც მენეჯმენტის ზრით უფრო ეფექტურს გახდის ლიკვიდურობის კონტროლს.

- საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში არსებული საოპერაციო დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს ვიზიტებს ობიექტებზე, პერიოდულად ხდება ობიექტების მენეჯერებთან შეხვედრები. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ვადაგასული ნედლეულის თუ საქონლის ბრუნვიდან ამოღება და ჩამოწერა.

საოპერაციო საქმიანობის და რისკების მართვის ნაწილში კომპანია იღებს მხარდაჭერას, ნოუჰაუს, კონსულტაციებს დანქინის საერთაშორისო ოფისებიდან (Wendy's International), რომელთანაც გაფორმებულია ფრანჩაიზინგის კონტრაქტი.

- საბაზრო და სავალუტო რისკები

გარდა ზემოჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ვენჯორჯიას ოპერაციებზე არის სავალუტო და შესასყიდი ნედლეულის და მასალების ფასების ცვლილების რისკი (საბაზრო რისკი). სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ ვენჯორჯიას საბანკო სესხი არის აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

შესასყიდი მასალების თუ აღჭურვილობების შეძენა ხდება მნიშვნელოვანწილად იმპორტით, შესაბამისად ანგარიშსწორება არარეზიდენტ კონტრაგენტებთან ხდება ვალუტაში, ასევე აღსანიშნავია როიალტის ხარჯი, რომელზეც ასევე აისახება სავალუტო მერყეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი მომწოდებლების ნაწილი თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად, ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდ ფასებზეც. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მომწოდებლების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი წარმოების პროდუქციას აწვდის კომპანიას და ფასების ცვლილების რისკი შედარებით დაბალია. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი წარმოების წილი პროდუქტებში, რათა სავალუტო რისკები იყოს დაზღვეული.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

გიორგი მშვილდაძე

- საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში არსებული საოპერაციო დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს ვიზიტებს ობიექტებზე, პერიოდულად ხდება ობიექტების მენეჯერებთან შეხვედრები. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ვადაგასული ნედლეულის თუ საქონლის ბრუნვიდან ამოღება და ჩამოწერა.

საოპერაციო საქმიანობის და რისკების მართვის ნაწილში კომპანია იღებს მხარდაჭერას, ნოუჰაუს, კონსულტაციებს დანქინის საერთაშორისო ოფისებიდან (Wendy's International), რომელთანაც გაფორმებულია ფრანჩაიზინგის კონტრაქტი.

- საბაზრო და სავალუტო რისკები

გარდა ზემოჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ვენჯორჯიას ოპერაციებზე არის სავალუტო და შესასყიდი ნედლეულის და მასალების ფასების ცვლილების რისკი (საბაზრო რისკი). სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ ვენჯორჯიას საბანკო სესხი არის აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

შესასყიდი მასალების თუ აღჭურვილობების შეძენა ხდება მნიშვნელოვანწილად იმპორტით, შესაბამისად ანგარიშსწორება არარეზიდენტ კონტრაგენტებთან ხდება ვალუტაში, ასევე აღსანიშნავია როიალტის ხარჯი, რომელზეც ასევე აისახება სავალუტო მერყეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი მომწოდებლების ნაწილი თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად, ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდ ფასებზეც. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მომწოდებლების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი წარმოების პროდუქციას აწვდის კომპანიას და ფასების ცვლილების რისკი შედარებით დაბალია. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი წარმოების წილი პროდუქტებში, რათა სავალუტო რისკები იყოს დაზღვეული.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



გიორგი შვილდაძე